პროექტი

ხონის მუნიციპალიტეტის მერის
2020 წლის გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფერო

ხონის მუნიციპალიტეტის მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

მერია საქმიანობას წარმართავდა საქართველოს კონსტიტუციის, ,,ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს, მოქმედი კანონმდებლობისა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების შესაბამისად.

საანგარიშო წლის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობდით სახელმწიფო ორგანოებთან სახელმწიფო კანცელარიასთან, სამინისტროებთან, საქვეუწყებო დაწესებულებებთან, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან, ადგილობრივი წარმომადგენლობით ერთეულებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მერი საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევდა მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, სულ მერიაში ფუნქციონირებდა 9 სტრუქტურული ერთეული.

2020 წელს ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობდა 74 საჯარო მოხელე. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტურად წარმართის მიზნით ფუნქციონირებდა 17 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ერთი - შპს.

2020 წელს ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადებული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა შესარჩევი ორი კონკურსი.

მერიის მიერ გამოცხადებული ვაკანტურ ადგილებთან დაკავშირებით კონკურსის განთავსება ხდებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ - გვერდის მეშვეობით.

საკონკურსო საატესტაციო კომისიამ მერს დასანიშნად წარუდგინა 5 კანდიდატი.

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებზე დაკისრებული ფუნქციების დროულ და ეფექტურ განხორციელებასა და დოკუმენტბრუნვის აღრიცხვიანობის საჯაროობას.

ჩვენ მჭიდრო ურთიერთობას ვინარჩუნებთ მოსახლეობასთან, თითქმის ყოველდღე უზრუნველვყოფდით მოქალაქეებთან შეხვედრას. ასევე, არის შემოღებული მიღების დღეები, კერძოდ სამშაბათი და ხუთშაბათი 12 საათიდან-15 საათამდე.

2020 წლის განმავლობაში შემოსული იყო 8 542 წერილი და კორესპოდენცია. მერიის შესაბამისმა სამსახურებმა დადგენილ ვადებში უზრუნველყვეს მათზე რეაგირება,

წერილების დაგზავნა, პასუხების მიწოდება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

2020 წლის განმავლობაში, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში,მომზადებულ იქნა უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების 696 ოქმი.

მერიაში საქართველოს კანონის "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-40 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. 2020 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში სხვადასხვა უწყებებიდან, ორგანიზაციებიდან, ფიზიკური პირებიდან შემოვიდა 17 განცხადება, პასუხი დადგენილ ვადებში გაცემულ იქნა. ასევე წარმატებით მუშაობდა facebook გვერდი, საინფორმაციო დაფა.

2020 წელს მუშაობას განაგრძობდა მერიის სათათბირო ორგანო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება 17 წევრისაგან. წლის განმავლობაში ჩატარდა ორი სხდომა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განხილულ იქნა ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021 წლის პროექტი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სფერო

2020 წელს ხონის მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტისა და შიდა კონტროლის სამსახური მუშაობას წარმართავდა დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად.

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესში. რისკების გამოვლენით ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემის დახვეწას ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად.

პანდემიის გავრცელების გამო ქვეყანაში შემოღებული შეზღუდვების პირობებში, აუდიტის სამსახურის მიერ ვერ მოხერხდა გეგმით გათვალისწინებული ყველა ობიექტის აუდიტორული შემოწმება. 2020 წელს აუდიტორული შემოწმება განხორციელდა მხოლოდ ა(ა)იპ-ი ხონის ინფორმატიკის ცენტრსა და ა(ა)იპ-ი საფეხბურთო კლუბი ხონის ,,იმერეთ''-ში

აუდიტის პროცესში, გამოვლენილი ნაკლოვანებები განიხილებოდა ობიექტის ხელმძღვანელობასთან და შესაძლებლობის ფარგლებში აუდიტის პროცესშივე ხდებოდა მათი გამოსწორება, ხოლო ზოგიერთი დარღვევის გამოსწორების შესახებ აუდიტის ობიექტი აუდიტორული ანგარიშის გაცნობის შემდეგ აუდიტის სამსახურს წარუდგენდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების გეგმა-გრაფიკს, სადაც მიუთითებდნენ ნაკლოვანებების გამოსწორების გონივრულ ვადებს. გეგმა-გრაფიკში მითითებული ვადების გასვლის შემდეგ ხორციელდებოდა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

საფინანსო-საბიუჯეტო სფერო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N106 დადგენილებით დამტკიცდა ხონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობა განისაზღვრა 7220.0 ათასი ლარის ოდენობით. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 160,0 ათასი ლარი, გადასახადები 6762.0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 248,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 50,0 ათასი ლარი, გადასახდელები 7220,0 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებით, შემოსულობები განისაზღვრა 13161.3 ათასი ლარი. გადასახადები 5 815.4 ათასი ლარი, გრანტები 7 058.0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 248,0 ათასი ლარი,არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი 50,0 ათასი ლარი.

2020 წელს ფაქტიური შემოსულობებმა შეადგინა 13461,177 ათასი ლარი. გეგმის 102,28%. გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 6,166,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 105,18 %-ა, გრანტებიდან მიღებული შემოსავალმა 7016,961 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,42 %-ა, სხვა შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 317,447 ათასი ლარი, რაც გეგმის 128,0%-ა, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 10,857 ათასი ლარი რაც გეგმის 21,77 %-ა.

2020 წელს ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა

14 154,80 ათას ლარს.

- **ხარჯები 7230,11 ათასი ლარი მათ შორის:**
  - ✓ შრომის ანაზღაურება 1365,6 ათასი ლარი,
  - ✓ საქონელი და მომსახურება 1136,48 ათასი ლარი,
  - ✓ პროცენტი 33,24 ათასი ლარი,
  - ✓ სუბსიდიები 3726,13 ათასი ლარი,
  - ✓ გრანტები 10,0 ათასი ლარი,
  - ✓ სოციალური უზრუნველყოფა 823,11 ათასი ლარი,
  - ✓ სხვა ხარჯები 135,54 ათასი ლარი.
- **არაფინანსური აქტივების ზრდა 6873,34 ათასი ლარი,**
- **ვალდებულების კლება 51,35 ათასი ლარი.**

2020 წელს გაწეულმა ფაქტიურმა გადასახდელებმა შეადგინა 12962,95 ათასი ლარი:

- **ხარჯები 6757,45 ათასი ლარი , გეგმის 97,7% :**
  - ✓ შრომის ანაზღაურება 1340.92 ათასი ლარი, გეგმის 98.16 %

- ✓ საქონელი და მომსახურება 973.97 ათასი ლარი, გეგმის 85.70%
- ✓ სუბსიდიები 3579.55 ათასი ლარი, გეგმის 96.07 %
- ✓ პროცენტი 33.24 ათასი ლარი, გეგმა 100,0%
- ✓ გრანტები 7.88 ათასი ლარი, გეგმის 78.82%
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა 710.89 ათასი ლარი, გეგმის 86.37 %
- ✓ სხვა ხარჯები 111.01 ათასი ლარი. გეგმის 81.90 %
- ❖ **არაფინანსური აქტივების ზრდა 6154.16 ათასი ლარი, გეგმის 89.54 %**
- ❖ **ვალდებულების კლება 51.34 ათასი ლარი. 100%**

შესყიდვები

2020 წელს განმავლობაში სულ გამოცხადდა 58 ელექტრონული ტენდერი.

შედგა - 37 ელექტრონული ტენდერი.

22 - ელ. ტენდერი სახელმწიფო ბიუჯეტით: 9 - რგფ; 3 - სკოლები - აქედან ერთს შეუსრულებლის სტატუსი მიენიჭა, რადგან მიმწოდებელმა უარი განაცხადა შესრულებაზე და ტენდერი გამოცხადდა თავიდან; 6 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა; 3 - ბაღები; 3 - ბულვარის საპროექტო, გურამიშვილის სტადიონი, 2021 წლის საპროექტოები

11 - ელ. ტენდერი ადგილობრივი ბიუჯეტით.

2020 წელს შემდგარი და დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს: 6 328 571.37 ლარს.

შეწყდა - 5 ელ. ტენდერი:

NAT200006361 - სოფ. სუხჩის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. შეწყვეტის მიზეზი - ტენდერში ატვირთული ხარჯთაღრიცხვა არ იყო ექსპერტიზა გავლილი.

NAT200006574 - დ/კუხის ცენტრიდან გორდაძეების უბნამდე დამაკავშირებელი გზისა და სოფ. ახალშენში ნამაშევის უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. შეწყვეტის მიზეზი - არასწორი ხარჯთაღრიცხვა.

NAT200015095 - სოფ. მათხოჯის, ნახახულევისა და კონტუათის საბავშვო ბაღების სველი წერტილებისა და სამზარეულოების რეაბილიტაცია. შეწყვეტის მიზეზი - საჩივარი შეიტანა მიმწოდებელმა, რათა საიდუმლო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სამუშაოები ჩვენთვის ხელმიწსაწვდომი არ იყო. შესაბამისად გამოცხადდა ახალი ტენდერი ახლი პირობებით.

NAT200015518 - ქ. ხონის N3 და სოფ. ნამაშევის საბავშვო ბაღების სველი წერტილებისა და სამზარეულოების რეაბილიტაცია. შეწყვეტის მიზეზი - საჩივარი შეიტანა მიმწოდებელმა, რათა საიდუმლო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სამუშაოები ჩვენთვის ხელმიწსაწვდომი არ იყო. შესაბამისად გამოცხადდა ახალი ტენდერი ახლი პირობებით.

NAT200019081 - ხონის მუნიციპალიტეტში 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმაში შესატანი დასაპროექტებელი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (ექსპერტიზის დასკვნით) მომზადება. შეწყვეტის მიზეზი - გაიზარდა ობიექტების რაოდენობა.

უარყოფითი შედეგით დასრულდა - 7 ელ. ტენდერი, ტენდერებში პრეტენდენტებმა არ დააზუსტეს ან ნაწილობრივ დააზუსტეს სატენდერო დოკუმენტაცები, რის გამოც მიენიჭათ დისკვალიფიკაცია და აღნიშნული ტენდერები უარყოფითი შედეგით დამავრდა.

NAT200003418 - ხონის ცენტრალური სტადიონის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და გურამიშვილის ქუჩაზე მინი მოედანზე ხელოვნური საფარის დაგება.

NAT200003420 - ხონის N3 ბავშვთა ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

NAT200008285 - ლითონის, გალვანიზირებული ნაგავშემკრები კონტეინერის (43 ერთეული) შესყიდვა.

NAT200008408 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხონის მუნიციპალიტეტის სოფლებში სკვერების, წყლის მილებისა და სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა.

NAT200008411 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხონის მუნიციპალიტეტის სოფლებში ატრაქციონების მოწყობა, სკვერების კეთილმოწყობა, სპორტული მოედნების შესაბამისი ინვენტარით მოწყობა.

NAT200012696 - ქ. ხონის N3 და სოფ. ნამაშევის საბავშვო ბაღების სველი წერტილებისა და სამზარეულოების რეაბილიტაცია.

NAT200012697 - სოფ. მათხოჯის, ნახახულევისა და კონტუათის საბავშვო ბაღების სველი წერტილებისა და სამზარეულოების რეაბილიტაცია.

არ შედგა - 9 ელ. ტენდერი - ტენდერში არცერთმა პრეტენდენტმა დააფიქსირა სავარაუდო ღირებულება.

შეუსრულებელი - 1 ელ. ტენდერი - პრეტენდენტმა უარი განაცხადა ნაწილობრივ მის შესრულებაზე, ხელშეკრულების მიმდინარეობის პროცესში.

3 ელ. ტენდერის სამუშაოები გადმოვიდა 2021 წელს:

NAT200007502- შპს ,,ბესტ ტრანს", სახელშეკრულებო ღირებულება 229 998.00 ლარი, სოფ. სუხჩის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე მიმდინარეა.

NAT200014486 - შპს ,,გლობალ სტანდარტმშენი", სახელშეკრულებო ღირებულება 53 739.90 ლარი, ქ.ხონში, გურამიშვილის ქუჩაზე მინი მოედანზე ხელოვნური საფარის დაგების სამუშაოები. ამ ეტაპზე დასრულებულია.

NAT200016565 - შპს ,,შპს ჯბ-კომპანი“, სახელშეკრულებო ღირებულება 134 829.00 ლარი, სოფ. მათხოჯის, ნახახულევისა და კონტუათის საბავშვო ბაღების სველი წერტილებისა და სამზარეულოების რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე დასრულებულია.

გამარტივებული შესყიდვის წესით დაიდო 137 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით - 401 761.90 ლარი.

მონეტარული ზღვრის დაცვით - 89

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება - 15 (10 -სოფლის მხარდაჭერა; 2-სკოლები; 3-ინტერნეტი ადგილობრივი)

წარმომადგენლობითი ხარჯები - 8

ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები - 4

დაყოფა გეოგრაფიული დაშორების პრინციპით - 15

გადაუდებელი აუცილებლობა - 6

კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გაფორმდა - 15 ხელშეკრულება

დაჯარიმებული იქნა 18 მიმწოდებელი და გადახდილია პირგასამტეხლო 54283.0 ლარის ოდენობით.

სარეზერვო ფონდი

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 2020 წელს განისაზღვრა 140,0 ათასი ლარით. საკასო ხარჯი 139,874 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა ოჯახები, რომლებსაც სტიქიური უბედურების (ხანძარი) შედეგად დაუზიანდა ან/და გაუნადგურდა საცხოვრებელი სახლი, ან სათავსო ნაგებობები. სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ 376-ზე მეტ მოქალაქეს დაუფინანსდა სამედიცინო მომსახურების ხარჯები ნაწილობრვივ ან სრულად.

2020 წელს მუნიცპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა:

#	დასახელება	ათასი ლარი
	ა(ა)იპ ხონის კომუნალური სერვის-ცენტრი	**616.9**
	ააიპ ხონის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური	**126.3**
	ააიპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება	**984.0**
	ააიპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი	**118.4**
	ააიპ ხონის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი	**58.5**
	ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	**159.8**
	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	**0.0**
	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა	**252.9**
	ა(ა)იპ ხონის მთავარი ბიბლიოთეკა	**122.5**
	ააიპ ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	**231.5**
	ააიპ ხონის კულტურის ცენტრი	**184.5**
	ააიპ ხონის სამხატვრო სკოლა	**62.0**
	ააიპ ხონის ისტორიული მუზეუმი	**72.8**
	ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი ხონი	**33.0**
	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სამსახური	**107.9**
	ააიპ მადლიერების სახლი	**116.5**
	ა(ა)იპ სათნოების სახლი	**122.8**

ინფრასტრუქტურის სფერო

2020 წელს სულ ხონის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 94 პროექტი ღირებულებით 5 855 686 ლარი.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების შესაბამისად, 2020 წელს ხონის

მუნიციპალიტეტში რგპფ-ს დაფინანსებით განხორციელდა 16 პროექტი (დანართი #1). ძირითადად მოხდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. სახელდობრ:

1. სოფელ გუბში ქუთაისი-ხონი ცენტრალური გზის მე-11 კმ-დან სოფელ დიდი ჯიხაიშის საზღვრამდე გზის მოასფალტება
2. გოჩა ჯიხაიშის ცენტრიდან სოფელ გუბის მიმართულებით გზის მოასფალტება
3. სოფელ კონტუათის ცენტრიდან რუხაძეების უბანში #2 ქუჩის მოასფალტება
4. სოფელ კონტუათის ცენტრიდან ჩარგეიშვილების უბნის გზის მოასფალტება
5. ქ. ხონში, თაყაიშვილის ქუჩის მოასფალტება
6. სოფელ მათხოჯში ბარაბაძეების უბნის გზის მოასფალტება
7. სოფელი დედალაური- ჩაის მეურნეობის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება
8. ქ. ხონში, იპ. ხვიჩიას ქუჩის პირველი შესახვევის მოასფალტება
9. მათხოჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ სუხჩას შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია
10. ქ. ხონში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია
11. სოფ. ივანდიდში მე-14 ქუჩის მოასფალტება
12. სოფ ახალშენში ნამაშევის უბანში მისასვლელი გზის მოასფალტება
13. სოფ დიდი კუხის ცენტრიდან გორდაძეების უბნამდე დამაკავშირებელი გზის მოასფალტება
14. კონტუათის ცენტრიდან რუხაძეების უბანში #1 ქუჩის მოასფალტება
15. ივანდიდში მე-15 ქუჩის მოასფალტება
16. ქუთაისი-წყალტუბო-ლენტეხი-ლასდილის შიდასახელმწიფოებრივი ს/გზის 37-ე კმ-დან სოფელ ღვედის ცენტრამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

საერთო ღირებულებით 4 650 037 ლარი. სულ მოასფალტებული იქნა 24 049 გრძ/მ გზა. პროექტებიდან დასრულდა 15, ხოლო მათხოჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ სუხჩას შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს ამჟამად და დასრულდება უახლოეს ხანში.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის #27 განკარგულების შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტში განხორციელდა ქ. ხონის #1 საჯარო სკოლის, სოფლების ქუტირის, ძეძილეთის, ხიდის, კონტუათის საჯარო სკოლების სველი წერტილების რეაბილიატაცია. 2020 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება სოფელ ნახახულევის საჯარო სკოლის და ქ. ხონის #2 საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები.

სულ სკოლებში სველი წერტილების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი 410 000 ლარიდან საკასო შესრულებამ შეადგინა 321 158 ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 აგვისტოს #1680 განკარგულების შესაბამისად მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღებში სველი წერტილებისა და სამზარეულოების

რეაბილიტაციაზე გამოყოფილი იყო 448 737 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 371 883 ლარი. სახელდობრ:

1. სოფელ მათხოჯის საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილის რეაბილიტაცია
2. სოფელ ნახახულევის საბავშვო ბაღის სველი წერტილებისა და სამზარეულოს რეაბილიტაცია
3. სოფელ კონტუათის საბავშვო ბაღის სველი წერტილებისა და სამზარეულოს რეაბილიტაცია
4. ხონის N3 საბავშვო ბაგა ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილის რეაბილიტაცია
5. სოფელ ნამაშევის საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილის რეაბილიტაცია
6. სოფელ ივანდიდის საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილის რეაბილიტაცია
7. სოფელ ქუტირის საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილის რეაბილიტაცია
8. სოფელ კუხის საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილის რეაბილიტაცია

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #2752 განკარგულების შესაბამისად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2020 წელს გამოყოფილი 470 000 ლარიდან სოფლებში მოეწყო გარე განათების სისტემები, კეთილმოეწყო შიდა სასოფლო გზები და განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.

ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა ორი პროექტი ღირებულებით 40 847 ლარი, სახელდობრ:

1. ქ. ხონში, ჭანტურიას ქუჩაზე არსებული მესამე უბნის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

2. ხონის მუნიციპალიტეტში სოფელ მათხოჯში ბარაბაძეების უბანსი სასაფლაოსთან მისასვლელი გზის (100 გრძ/მ) ბეტონის საფარის მოწყობა

2020 წელს მომზადებულ იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და 2021 წელს დაიგეგმა შემდეგი პროექტების განხორციელება:

1. სოფელ პატარა ჯიხაიშში სოფელ გოჩა ჯიხაიშისკენ მიმავალი გზის მოასფალტება
2. სოფელ გუბში მეორე ქუჩის მოასფალტება
3. სოფელ საწულუკიძეოში წმინდა ნინოს ქუჩისა და საწულუკიძეოს ცენტრის დამაკავშირებელი გზის მოასფალება
4. სოფელ ნახახულევში 1 და მე-10 ქუჩების მოასფალტება (შიდა უბანი)
5. ქ. ხონში, წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია და შესახვევის მოასფალტება
6. ქ. ხონში გორგასლის ქუჩის მეორე შესახვევის მოასფალტება

7. ქ. ხონში თამარ მეფის პირველი შესახვევისა და ჩიხის მოასფალტება

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-სა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები “-ს შესაბამისად:

2020 წელს გაცემულია 12 მე-2, მე-3 და მე-4 კლასის მშენებლობის ნებართვა (პირველი და მე-2 სტადია), ხოლო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა პირველ სტადიაზე 6 ობიექტისთვის.

მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა გაუგრძელდა 5 ობიექტს.

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ოდენობამ 2020 წელს ჯამში შეადგინა 29 850,21 ლარი.

ეკონომიკის სფერო

2020 წელს ეკონომიკის კუთხით განხორციელებულ საქმიანობასა და აქტივობებზე პერიოდულად ცნობილი იყო საკრებულოსათვის. ამჟამად წარმოგიდგენთ საანგარიშო წელს შესრულებული სამუშაოს სრულ მონაცემებს.

2020 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დავარეგისტრირეთ შემდეგი უძრავი ქონება

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	შენობა-ნაგებობა (ფართი კვ.მ)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართი კვ.მ)
1.	ხონი, სოფ. გორდი (ს/კ 37.02.31.743)	---	2100.0
2.	ხონი, სოფ. ხიდი (ს/კ 37.04.31.971)	N1; N2	281.0
3.	ქ. ხონი, (ს/კ 37.07.43.313)	---	8100.0

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი თანხმობის საფუძველზე და 2020 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით დავარეგისტრირეთ შემდეგი უძრავი ქონება

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	შენობა-ნაგებობა (ფართი კვ.მ)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართი კვ.მ)
1.	სოფელი გორდი (ს/კ 37.02.31.741)	---	483.0
2.	სოფელი ხიდი (ს/კ 37.04.31.988)	---	153.0

2020 წელს ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დავარეგისტრირეთ შემდეგი გზის ნაწილები

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ფართი კვ.მ
1.	ქ.ხონი თავისუფლების მოედანი ჭანტურიას ქუჩის დასავლეთით (ს/კ 37.07.38.859)	12.0

ხონის მუნიციპალიტეტის სოფლებში დავიწყეთ და ეტაპობრივად მიმდინარეობს დაურეგისტრირებული სტადიონების რეგისტრაცია.

2020 წელს ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილების საფუძველზე დავარეგისტრირეთ შემდეგი სტადიონები

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ფართი კვ.მ
1.	სოფელი მათხოჯი (ს/კ 37.04.31.952)	9786.0
2.	სოფელი ნახახულევი (ს/კ 37.05.32.721)	9582.0

3.	სოფელი კონტუათი (ს/კ 37.05.34.199)	9188.0
4.	ირ. აბაშიძის ქუჩა (ს/კ 37.07.43.748)	20035.0

2020 წელს ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებულია შემდეგი გარე განათების სისტემები (ხაზოვანი ნაგებობა)

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	რაოდენობა (ცალი)	გრძივი მეტრი
1.	სოფ. მათხოჯი (ს/კ 37.00.345)	17	950.00
2.	სოფ. ახალბედისეული (ს/კ 37.00.346)	22	1380.00
3.	სოფ. ქუტირი (ს/კ 37.00.347)	18	710.00
4.	სოფ. ქუტირი (ს/კ 37.00.349)	12	226.29
5.	სოფ. ძეძილეთი (ს/კ 37.00.348)	9	284.91

ხონის მუნიციპალიტეტის მერიასა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობას შორის 2019 წლის 28 ივნისს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის შესაბამისად, ლტოლვილთა დანიის საბჭომ დაასრულა ხონის მუნიციპალიტეტში, გურამიშვილის ქუჩაზე (ს/კ 37.07.38.610) სათემო განათლების ცენტრის მშენებლობისთვის საჭირო სამუშაოები და მიღება-ჩაბარების აქტით გადმოსცა ხონის მუნიციპალიტეტის მერიას სრულ სარგებლობასა და მფლობელობაში. აღნიშნული ქონება მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში და დავარეგისტრირეთ მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

2020 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის შესაბამისად ელექტრონული აუქციონის წესით განვახორციელეთ შემდეგი უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება

N	მისამართი საკადასტრო კოდი	ობიექტის დასახელება (ფართობი კვ.მ)	ღირებულება (ლარი)
1.	-------	ლითონის ავზები (ტევადობა 40 ტონა, რაოდენობა 4 ცალი)	24200.0
2.	სოფ. ჩაის მეურნეობა (ს/კ 37.06.32.218)	შენობა-ნაგებობა N1-ის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მასალა	1650.0
3.	კაკაბაძის ქ. N31 ს/კ 37.07.38.307	არასასოფლო-სამეურნეო დანიშ. მიწის ნაკვეთი-449.0 კვ.მ შენობა-ნაგებობა N01/1-125.0კვ.მ	38632.0
4.	კაკაბაძის ქ. ს/კ 37.07.38.003	არასასოფლო-სამეურნეო დანიშ. მიწის ნაკვეთი-2649.0 კვ.მ შენობა-ნაგებობა N01/1; N02/1; N03/1; N04/1;	71400.0
5.	სოფ. ძეძილეთი ს/კ 37.03.32.001	არასასოფლო-სამეურნეო დანიშ მიწი ნაკვეთი-453.0 კვ.მ შენობა-ნაგებობა N1-280.0კვ.მ	24178.0
6.	რუსთაველის ქ. ს/კ 37.07.38.788	არასასოფლო-სამეურნეო დანიშ. მიწის ნაკვეთი-3539.0 კვ.მ	69490.0

ქონების პრივატიზების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსული თანხა შეადგენს - 229 550.0 ლარს

2020 წელს ელექტრონული აუქციონის წესით იჯარით გავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისრტირებული შემდეგი უძრავი ქონება

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	საიჯარო ობიექტი	ღირებულება წლიური
1.	ჭანტურიას ქ. N10-ის დასავლეთით ს/კ 37.07.38.859	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების. მიწის ნაკვეთი- 6.0 კვ.მ	660.0 ლარი

ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 მაისის N39 588 ბრძანების საფუძველზე შექმნილია თვითნებურად დაკავებული მიწების საკუთრების აღიარების კომისია, რომლის წევრთა უმრავლესობა ეკონომიკის სამსახურის თანამშრომელია. კომისიამ 2020 წელს განიხილა 110 განცხადება, საიდანაც 68 გადაწყდა დადებითად და გაიცა საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობები.

სოფლის მეურნეობა

- ხონის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ ძირითად მაპროფილებელ დარგს წარმოადგენს, შესაბამისად მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ამ დარგშია ჩართული და ის მათი არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენს.
- 2020 წელს მუნიციპალიტეტში დამუშავებული იქნა 3650 ჰა სასოფლო-სამეურნეო ფართობი. მოწეული იქნა მარცვლეული კულტურა 11 100 ტონა, (მათ შორის ლობიო 15 ტონა, სოიო 12 ტონა), თხილი 610 ტონა, კაკალი 33 ტონა, კარტოფილი 509 ტონა, კომბოსტო 60 ტონა, ბადრიჯანი 325 ტონა, კიტრი 250 ტონა, პომიდორი 800 ტონა, ყურძენი 368 ტონა, ხურმა,1200 ტონა, ტყემალი 375 ტონა, მწვანილი 72 ტონა, თაფლი 65 ტონა.
- მუნიციპალიტეტში აღირიცხება 26 500 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი 1267 სული, ცხვარი 1190 სული, თხა 1023, ქათამი 300 000 ფრთა.
- საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემა, რომელიც ემსახურება ხონის მუნიციპალიტეტში 8234 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს მაგისტრალური არხებით სიგრძით 164 კმ-ი და შიდა სარწყავი ქსელები 233კმ. სარწყავ სისტემაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს საექსპლუატაციო-სარემონტო სამუშაოები. 2020 წელს მუნიციპალიტეტში განხორციელდა 15 პროექტი და საექსპლუატაციო-სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 24.1კმ სარწყავ არხებს.
- როგორც ცნობილია, 2020 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა ბრძოლა მავნებელი მწერის აზიური ფაროსანას წინააღმდეგ, აზიური ფაროსანას მიერ მიყენებული ზიანის შესამცირებლად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული რეკომენდაციების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ცივი შესხურებით შეიწამლა როგორც საყანე მასიური ფართობები, ასევე ტყის პირები და ბუჩქნარები, სულ ჯამში -297ჰა, ასევე თერმული ნისლით რამოდენიმეჯერ დამუშავდა ფართობები ადმინისტრაციულ ერთეულებში-სულ ჯამში 3580 ჰა.
- მუნიციპალიტეტში გრძელდება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისთვის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის პროცესი, რომელსაც ანხორციელებს აგრარული განყოფილება. დღეისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს კინჩხის

ადმინისტრაციული ერთეულის ოთხ სოფელს: ზედა კინჩხა, ქვედა კინჩას, კინჩაფერდს და საწისქვილოს. 2020 წლის მონაცემებით მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირის სტატუსი მინიჭებული აქვს 179 ბენეფიციარს.

- მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონი“-ს შესაბამისად, 2020 წელს მაღალმთიან დასახლებაში სტატუს მინიჭებული პირების მაღალმთიან დასახლებაში ფაქტობრივად ცხოვრების ასახვის მიზნით, აგრარულ განყოფილებაში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის მიერ რამოდენიმეჯერ განხორციელდა გადამოწმება-მონიტორინგი. პირველადი მონიტორინგით გადამოწმებული იქნა 29 სტატუს მინიჭებული პირი, მეორადი მონიტორინგის დროს 16, ჯამში გადამოწმდა მაღალმთიან დასახლებაში ფაქტობრივად მცხოვრები 45 სტატუს მინიჭებული ფიზიკური პირი.

- ხონის მუნიციპალიტეტში, ნარჩენების მართვის სრულყოფის მიზნით ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად, შეიქმნა ,,მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“. (2018-2022წ).ხონის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა 2018 წლის 28 თებერვალს N 4018 განკარგულებით დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. გეგმა მოიცავს 12 ამოცანას და 24 ღონისძიებას.

- 2020 წლის მდგომარეობით მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ღონისძიებებიდან 11 შესრულებულია სრულად (45,8%), 7 შესრულების პროცესშია (29,16%)

- 4 განხორციელდება უახლოეს მომავალში (20,83%),

- 1 ფინანსური რესურსების სიმწირის გამო ამ ეტაპზე ვერ ხორციელდება (4,16%)

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტი სრულად იქნა უზრუნველყოფილი იმ ნაგავშემკრები კონტეინერებით, რომელიც გეგმით იყო გათვალისწინებული. მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას კონტეინერული სისტემით ახორციელებს მუნიციპალური ა(ა)იპ „ხონის კომუნალური სერვის ცენტრი.“ ნარჩენების მათვის კონტეინერული სისტემით მოცულია ხონის მუნიციპალიტეტის ქალაქის ტერიტორიის 80% და სოფლების ტერიტორის 60% . ყოველდღიურად სერვისცენტრის მიერ ნარჩენების გატანა ხორციელდება ქ.სამტრედიის ნაგავსაყრელზე. 2020 წელს მუნიციპალიტეტმა შეიძინა 56 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი. ხოლო იმერეთის მეცნიერთა კავშირი ,,პექტრი“-ს მიერ გადმოგვეცა 20 პლასტიკის შემკრები კონტეინერი.

- ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად 2020 წელს რამოდენიმეჯერ განხორციელდა დასუფთავების აქციები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, მუნიციპალური აიპების თანამშრომლება და მოხალისეებმა.

ზედამხედველობის სფერო

2020 წელს სახვადასხვა სახის ადგილობრივი მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 50 878.00 ლარი. აქედან დასუფთავების მოსაკრებელი შედაგენს 30 699.00ლარს; საიჯარო ობიექტების ქირა 14 000.00 ლარს და მიწათსარგებლობის იჯარა 6 179.00 ლარი.

გასულ წელს ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 4 შენობა-ნაგებობა. ასევე ხორციელდებოდა კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული დაწესებულებებისა და ორგანიზების გარე იერსახის დაცვაზე, შენობა-ნაგებობებისა ფასადების, ვიტრინების და ჯიხურების ესთეტიკურ მდგომარეობის შესაბამისობაზე.

საქართველოს მთავრობის N473 დადგენილების შესასრულებლად შეიქმნა კომისია ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელობით რომელმაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლებში, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19)-ის გავრცელების წინააღმდეგ გააცნო რეკომენდაციები.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სფერო

2020 წლის საანგარიშო პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩასარიცხად ხონის მუნიციპალიტეტიდან გეგმა შეადგენდა 39 წვევამდელის მობილიზაციას. პანდემიიდან გამომდინარე გეგმაში მოხდა კორექტირება და სულ ჩასარიცხად განისაზღვრა 17 წვევამდელი. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 13 წვევამდელი.

სოციალური სფერო

სოციალური მიმართულების პრიორიტეტია დაეხმაროსა და ხელი შეუწყოს ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას, კვალიფიციური და სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურების მიღებაში და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

პანდემიასთან დაკავშირებით მოკლე ვადაში განხორციელდა ადაპტირება არსებულ რეალობასთან და შევქმენით მოხალისეთა ჯგუფები, რომელთა დიდი ნაწილი მერიის თანამშრომლები იყვნენ. (მარტოხელა მოხუცების საკვები პროდუქტებით მომარაგება, დამცავი საშუალებების მიწოდება, კონკრეტული საჭიროებების შესრულებისათვის ხელშეწყობა და ბინაზე მომსახურეობის გაწევა).

ჩვენი პროგრამები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის ისეთ ღონისძიებებს, რომელიც მათი სოციალოური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის სოციალური საჭიროების შესაბამისი სერვისების მიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამ მკვეთრად გაზარდა სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა, რიგ შემთხვევებში სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ზოგჯერ სრულად არ იფარება პაციენტის გადასახდელი თანხა, რაც გარკვეულ სირთულეებს უქმნის ამ საჭიროების მქონე პაციენტებს და მათ ოჯახებს, ჩვენი პროგრამები კი სწორედ ამ სეგმენტისთვის დახმარების გაწევაზეა გათვლილი .

სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, რომელთაც სარეიტინგო ქულა 1-დან 30001-მდე აქვთ ფინანსდება 800- ლარით, ხოლო 30001-დან 65001-მდე ფინანსდება 600-ლარით. 65001-დან 100001-მდე400-ლარით. 100001-დან150001 -მდე 200-ლარით) ასევე, მერია აწარმოებს თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა აღრიცხვას, მათი პრობლემების შესწავლას და მოგვარებას. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად წარმართავს ვეტერანთა საქმეების კოორდინაციას და იმ პირთა აღრიცხვის ორგანიზებას, რომელთა დახმარებაც ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლისთვის სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 655000 ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრზე გამოყოფილი თანხა კი 107900 -ლარი.

ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი უფასო სასადილო: ა(ა)იპ სათნოების სახლი და ა(ა)იპ მადლიერების სახლი, სადაც ბენეფიციარები ყოველდღიურად ღებულობენ სადილს. ა(ა)იპ ,,მადლიერები სახლი''(საშტატო ნუსხა შეადგენს11 ერთეულს) სასადილო ემსახურება 120 ბენეფიციარს. 2020 წელს დაიხარჯა 116600-ლარი.

ა(ა)იპ სათნოების სახლი (საშტატო ნუსხა შეადგენს 10 ერთეულს) სასადილო ემსახურება 140 ბენეფიციარს. 2020 წელს დაიხარჯა- 122800 ლარი.

ხონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სათნოების სახლი'' და ა(ა)იპ ,,მადლიერების სახლი'' ემსახურება 260- ბენეფიციარს.

მერიის ხელშეწყობით (ა)იპ,,მადლიერების სახლში“ 2017 წლიდან ფუნქციონირებს სოციალური სამრეცხაო, რომელიც ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს დღემდე.

საანგარიშო პერიოდში ხორციელდება ხონის ტერიტორიაზე მცხოვრები 65001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების, ომის ვეტერანების და ლტოლვილების კომუნალურ გადასახადებზე შეღავათები (საკანალიზაციო და წყალმომარაგების). სასმელ წყალზე სულზე 1 ლარი და კანალიზაციის შემთხვევაში 1,3 ლარი. აღნიშნულზე დაიხარჯა 29000 ლარი.

სოციალურად შეჭირვებულ ბენეფიციართა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება, რომელთაც სოციალური სააგენტოს მოკვლევის შედეგად მიენიჭა 65001-დან 90001-მდე სარეიტინგო ქულა. დახმარება გაეწია სულ 517 ოჯახს ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით, სულ დაიხარჯა 51700 ლარი.

2020 წელს ერთჯერადი სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამით ისარგებლა 602 ბენეფიციარმა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 112698-ლარი.

ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით გაეწია 30- ბავშვს, რაზეც დაიხარჯა 6000-ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გონებრივი ჩამორჩენილობის, ცერემბრალური დამბლით და დაუნის სინდრომით დაავადებულ ბენეფიციართა დახმარება 18 წლის ზემოთ, ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, გაეწია 90- ბენეფიციარს, სულ დაიხარჯა 18000-ლარი.

მოგახსენებთ, ხონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო. საბჭოში ჩართულია 4 შშმ სტატუსის მქონე პირი.

2019 წლის 7 მარტის N 88 1700დადგენილებით ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვრა 500-ლარის ოდენობით. 2020 წელს დახმარება გაეწია 1 ბენეფიციარს და დაიხარჯა 500-ლარი.

მრავალშვილიანი (18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვი) ოჯახის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა, ერთ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით. აღნიშნული დახმარება 2020 წელს გაეწია 47 ოჯახს(202- ბავშვი), გაიცა 10100- ლარი.

მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარება - თითეულ ბავშვზე 200

ლარის ოდენობით. 2020 წელს დახმარება გაეწია 22-მშობელს (35- ბავშვი) რაზეც დაიხარჯა 7000-ლარი.

დიალიზისა და თირკმლის ,,ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ტრანსპორტირების ყოველთვიური თანხა- 200 ლარის ოდენობით. დახმარების პროგრამაში 2020 წელს ჩართული იყო 17-ბენეფიციარი, რაზეც დაიხარჯა 39200-- ლარი.

ლეიკემიით დაავადებულ ბენეფიციართა ყოველთვიური ფულადი დახმარება 100

ლარის ოდენობით, 2020 -წლის აგვისტოს თვიდან დაფინანსება გაიზარდა 150 ლარამდე. 2020 წელს დახმარება გაეწია 1-ბენეფიციარს რაზეც დაიხარჯა 1800- ლარი.

ონკოლოგიური მიმართულებით ყველა სახის სამედიცინო მომსახურეობის ხარჯების დაფინანსება განისაზღვრა წელიწადში 1200 ლარით. 2020 წელს პროგრამაში ჩართული იყო 145 ბენეფიციარი, რაზეც დაიხარჯა 149234 ლარი.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებული და ეტლს მიჯაჭვულ კატეგორიაზე 2020 წელს ერთჯერადად გაიცა 1 ბენეფიციარის მიმართ 700 ლარის ოდენობით.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით 2020 წელს დახმარება გაეწია 7 ბენეფიციარს - რაზეც დაიხარჯა 1050- ლარი.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით. 2020 წელს დახმარება გაეწია 281 ვეტერანს, რაზეც დაიხარჯა 28100 ლარის ოდენობით.

უნგრეთის, ავღანეთის ომის მონაწილე ვეტერანების და ჩერნობილის ატომური ელექტრო-სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოებზე მონაწილე დაზარალებულ ვეტერანთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით 2020 წელს გაეწია 24- ბენეფიციარს რაზეც დაიხარჯა 2400 ლარი,

დევნილთა, უპატრონო მიცვალებულთა და ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯი გარდაცვლილის ოჯახებზე 250 ლარის ოდენობით, დახმარება გაეწია 18-ოჯახს, რაზეც დაიხარჯა 4 500 ლარი.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისატვის ომში დაღუპულ ვეტერანთა ოჯახებზე ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით. 2020 წელს დახმარება გაეწია დაღუპული ვეტერანის 13 ოჯახს. პროგრამაზე დაიხარჯა 6500 ლარი.

2020 წლის აგვისტოს თვეში დებულებაში შევიდა ცვლილება პირველი ჯგუფის უსინათლო (მკვეთრი შეზღუდვა) პირებისთვის ყოველთვიური ფულადი დახმარება 50 ლარის ოდენობით. დახმარება გაეწია 52-ბენეფიციარს პროგრამაზე დაიხარჯა 29250 ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვების სასმენი აპარატის (აპარატის სადენის, კვების წყარო, საშრობი ტაბლეტის) თანადაფინანსების პროგრამა 500 - ლარის ოდენობით. დახმარება გაეწია 3 ბენეფიციარს. პროგრამაზე დაიხარჯა 1500 -ლარი.

2020 წელს სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების გაძლიერების პროგრამა. პროგრამაზე გამოყოფილი იყო ერთ ბენეფიციარზე 1500 ლარი. 2020 -წელს დახმარება გაეწია 4-ბენეფიციარს და დაიხარჯა 6000-ლარი.

დღეის მდგომარეობით, ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვთა დღის ცენტრი „თანადგომა“.

რომელსაც მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულოს გადაწყვეტილებით ყოველთვიურად ტრანსპორტირებისათვის ეხმარება 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 4000- ლარი.

კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდული სფერო

1. კულტურა

მოგეხსენებათ, საკმაოდ ბევრ სფეროს მოიცავს: კულტურა, განათლება, სპორტი, ტურიზმი და ახალგაზრდული საქმე. მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საქმიანობა კულტურის პოლიტიკის განვითარების მიმართულებით. მერია მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერას, განვითარებასა და პოპულარიზაციას, შემოქმედებითი პროცესების სტიმულირებას. მინდა აღვნიშნო, რომ პანდემიით გამოწვეული შეწყვეტილი კულტურული ღონისძიებების გამო ვერ მოხერხდა ბევრი პროექტის განხორციელება, რამაც გამოიწვია გარკვეული მუნიციპალური ღონისძიების სხვა ფორმატში ჩატარება. თუმცა, პანდემიასთან დაკავშირებული პერიოდულად დაშვებული რეგულაციების ფონზე მაინც განხორციელდა არაერთი საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს კულტურული ცხოვრების აღმავლობასა და განვითარებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო კულტურის ცენტრში განხორციელებული ღონისძიებები: თეატრალური სეზონის განახლებისთანავე დაიწყო სლაბის ზღაპრის ,,წითელქუდა, ყვითელქუდა, ცისფერქუდა და მგელი“ მიხედვით ინსცენირებული საბავშვო სპექტაკლის რეპეტიციები დავით ბახტაძის რეჟისორობით, თუმცა პრემიერა ვერ გაიმართა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო. საანგარიშო (კორონამდელ) პერიოდში წარმოდგენილი იყო კულტურის ცენტრის სახალხო დასის, ბავშვთა ნიღბების თეატრისა და შემოქმედებითი ჯგუფის მონაწილეობით საახალწლო საბავშვო თეატრალიზებული კარნავალი, რომელმაც საზოგადოების, მათ შორის შშმ ბავშვების დიდი მოწონება დაიმსახურა. ასევე, კულტურის ცენტრის თეატრალური დასი, როგორც ყოველთვის, გასულ წელსაც აქტიურად იყო ჩართული საახალწლო ღონისძიებაში ღია ცის ქვეშ, სადაც ძველი და ახალი თაობის თეატრალებმა ხონის ცენტრალურ მოედანზე შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინეს და კიდევ უფრო სახალისო განწყობა შეუქმნეს მათთვის ჩვეული გემოვნებიანი პერფორმანსით. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო ,,ამღერებული იმერეთი“, სადაც ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე კულტურის ცენტრის ტრიო გახლდათ.

მნიშვნელოვანია, რომ პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მოკრძალებით აღინიშნა ,,გიორგობის“ ბრწყინვალე დღესასწაული, რომელიც ემთხვევა ,,ხონელობის“ სახალხო ზეიმს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დღეს სიმბოლურად გამოეხმაურა სახალხო სასულე ორკესტრი, რომელმაც სადღესასწაულო საორკესტრო მელოდიებით თანაქალაქელებს იმედიანი და საზეიმო განწყობა შეუქმნეს. ასევე, ამაღლებული განწყობით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეც.

მისასალმებელია, რომ, კულტურის ცენტრს დოკუმენტური ფილმების გადამღები ჯგუფი სტუმრობდა და ფილმისთვის, რომელშიც საქართველოს რეგიონების კულტურული ყოფა-ცხოვრებაა წარმოჩენილი, კულტურის ცენტრისგან საინტერესო მასალები მიიღეს.

პანდემიასთან დაკავშირებით, სამუსიკო სკოლაში სასწავლო პროცესი ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა, რის გამოც კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდების ნაცვლად, ჩატარდა ჩათვლები, გამოცდა ჩაუტარდა მხოლოდ მეექვსე კლასს. სკოლა დაამთავრა 40-მა მოსწავლემ. სამუსიკო სკოლაში მისაღები გამოცდების შედეგად პირველ კლასში ჩარიცხული იქნა 42 მოსწავლე. სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (საყვირი, საქსოფონი) და სიმებიანი (გიტარა) განყოფილებები, სულ, სკოლაში განათლებას იღებს 271 მოსწავლე და არსებული კონტიგენტის ფარგლებში სკოლაში მუშაობს 28 სასწავლო ჯგუფი.

პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, დავით კაკაბაძის სახელობის ხონის სამხატვრო სკოლაც სასწავლო პროცესს ონლაინ რეჟიმში აგრძელებდა. მოსწავლეები აქტიურად ჩართულნი არიან შემოქმედებით და აკადემიურ მუშაობაში. სკოლას აქვს საგამოფენო სივრცე, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო და შემოქმედებითი პროცესის განმტკიცებასა და განვითარებას. სკოლაში ისწავლება შემდეგი საგნები: ხელოვნების ისტორია, გრაფიკა, ფერწერა, კომპოზიცია, ძერწვა, კერამიკა, თექა (ხალხური რეწვა). სასწავლო პროცესს უძღვება 7 პედაგოგი.

2020 წლის მსოფლიოში გავრცელებული პანდემიის გამო ყველა სფეროს დაეტყო, და არც მუზეუმები აღმოჩნდა გამონაკლისი, თუმცა პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეგულაციების დაცვით (გარე სივრცეების გამოყენებით) ჩატარდა რამდენიმე ღონისძიება-ინგლისურენოვანი პედაგოგებისათვის და გიდების მოსამზადებელი ტრენინგი. გავრცელებული პანდემიის ფონზე მაინც მოხერხდა სამივე მუზეუმის ინვენტარიზაცია, გამოიცა ორასგვერდიანი ნაშრომი ივანე შარაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელიც მიეძღვნა ცნობილი მეცენატის 140 წლის იუბილეს (ავტორი ა. ფაილოძე). მუზეუმის მეორე სართულის ვრცელ საგამოფენო დარბაზში მოეწყო მეორე მსოფლიო ომის, აფხაზეთისა და ოსეთის ომების მონაწილეთა ექსპოზიცია, სადაც გამოფენილია გმირების პირადი ნივთები, საინტერესო და დოკუმენტური მასალები. გადაიდგა ნაბიჯები პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმში სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, ხონის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩაისვა ხის ახალი კარ-ფანჯრები, მაგრამ მუზეუმის სრულყოფილებისათვის კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ექსპედიციის მოწყობა, რამაც იმოქმედა ფონდებზე, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ნივთით გამდიდრდა. ვერ მოხერხდა ივანე შარაშიძის საიუბილეო საღამოს ჩატარება, ასევე ახალგამოცემული წიგნის პრეზენტაცია, წლის განმავლობაში მხოლოდ 291 ვიზიტორი გვყავდა.

დღეისათვის ხონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 16 ბიბლიოთეკა. სამწუხაროდ, ეპიდემიის გამო, 2020 წლის მარტიდან ივნისამდე შეჩერებული იყო საბიბლიოთეკო მუშაობა. განახლებული სამუშაოების პერიოდში მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკა მოემსახურა 1168 მკითხველს, რომელზეც გაიცა 6338 ცალი წიგნი და ჟურნალი. შეჩერებული მუშაობის პერიოდში მოხდა ხარჯების დაზოგვა, თანხები გამოყენებული იქნა ინვენტარისა და ახალი წიგნების შესაძენად. მთავარ ბიბლიოთეკაში დასრულდა ყველა მიმართულების გათბობის სისტემის მოწყობა.

არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა კულტურის მიმართულებით, მათ შორის: საახალწლო ღონისძიება ღია ცის ქვეშ, საახალწლო

ნაძვის ხის ანთების ცერემონიალი, მოკრძალებით აღინიშნა დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ,,გიორგობა“ დღეს - ,,ხონელობის“ ტრადიციული სახალხო დღესასწაული, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

მინდა აღვნიშნო, რომ პანდემიის გამო შეწყვეტილი კულტურული ღონისძიებების ფონზე, ზაფხულის პერიოდში, რა თქმა უნდა, რეგულაციების სრული დაცვით, მოხერხდა რამდენიმე საინტერესო კულტურული ღონისძიების ჩატარება, მათ შორის: მუსიკისა და პოეზიის საღამოები ღია ცის ქვეშ, ვოკალური სტუდია ,,ოქროს ხმების“ შემოქმედებითი საღამო, ფოლკ ბენდის საპრეზენტაციო საღამო, ასევე გაიმართა კინოფილმების და ანიმაციური ფილმების ჩვენება, რომელმაც ახალგაზრდების დიდი ინტერესი გამოიწვია

2. განათლება

ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საქმიანობისათვის ხელშეწყობა. საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურაში ბავშვთა აღზრდის საქმეს ემსახურება 20 საბავშვო ბაღი.

2020 წელს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი 15 იანვარს დაიწყო, რომელიც მოულოდნელმა მსოფლიო პანდემიამ შეაჩერა 2020 წლის 1-ლი მარტიდან. აპრილის მე-2 ნახევრიდან საბავშვო ბაღები დისტანციურ მუშაობაზე გადავიდა. ეს გამოწვევა რთული აღმოჩნდა. ტრადიციული საპირველივნისო პროექტი ჩანაცვლდა ვიდეო რგოლებით, რომელიც თითქმის ყველა საბავშვო ბაღში მომზადდა ზღაპრის გმირების მონაწილეობით და მისალოცი სახე მიიღო.

საახალწლოდ საბავშვო ბაღებში ჩატარდა ,,საახალწლო წარმოდგენა“, რომელშიც მონაწილეობდნენ ზღაპრის გმირები და თოვლის ბაბუა. წარმოდგენის ნახვა ყველა აღსაზრდელს შეეძლო პირდაპირი ჩართვის მეშვეობით გაერთიანების ფეისბუქგვერდზე.

სკოლისგარეშე საგანმანათლებლო პროგრამებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩაბმის მიმართულებით საინტერესო მუშაობას ახორციელებდა ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი, რომელიც თავისი სტრუქტურით ემსახურება ბავშვებისა და სასკოლო ასაკის მოზარდების არასასწავლო თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებისა და სკოლისგარეშე განათლების მიღების საქმეს, რასაც ერთიანობაში ახალგაზრდა თაობის არაფორმალური განათლება ჰქვია.

2020 წლის მანძილზე, პანდემიის პერიოდის ჩათვლით, საწრეო, საკლუბო, ჯგუფურ და ონლაინ მუშაობასთან ერთად განხორციელდა სხვადასხვა პროექტი, ჩატარდა ონლაინ-ლიტერატურული საღამო, მათემატიკის ოლიმპიადა, ფოტოებისა და ნახატების ონლაინ გამოფენა, ასევე, ვიქტორინა-კონკურსი ,,სააზროვნო-სახალისო მათემატიკა“. ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ გამოფენებში, პროექტებსა და ონლაინ ოლიმპიადებში.

პანდემიასთან დაკავშირებით, ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი გადავიდა ონლაინ სწავლებაზე. ჩატარდა ონლაინ-კონკურსები: ,,პატარა გენიოსები“ და ,,იაზროვნე

სწრაფად და ლოგიკურად"; განხორციელდა პროექტები: ,,თანამედროვე პოეტები", ,,სამი ვაშლი, რომლებმაც მსოფლიო შეცვალა".

მოსწავლეთა კომპიუტერისა და ინგლისური ენის ცოდნის ამაღლებას ემსახურება ა(ა)იპ ხონის ინფორმატიკის ცენტრი. ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა დასაქმების აუცილებელი მოთხოვნაა. ცენტრში სწავლება მიმდინარეობს უფასოდ. ინფორმატიკის სასწავლო კურსი ითვალისწინებს 3-თვიან კურსს, ინგლისურის კურსი კი -1 წელს. ჯგუფები დაკომპლექტებულია ასაკობრივი და ასევე ცოდნის მიხედვით, რომელიც ვლინდება ტესტირების საფუძველზე. ჩარიცხვისას პრივილეგია ენიჭებათ სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს. სულ ცენტრში ირიცხება 56 მოსწავლე. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ საგამოცდო კომისიის მეთვალყურეობით ტარდება გამოცდა და მოსწავლეებს გადაეცემათ წამახალისებელი(სიმბოლური) სერთიფიკატი.

სასკოლო ასაკის (6-18)მოზარდის არასასწავლო პერიოდში თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებისა და განათლების მიღების საქმეს მრავალი მიმართულებით ემსახურება სკოლისგარეშე მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება- ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი.

კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე, დაწესებული შეზღუდვების გამო, 2020 წლის მანძილზე მეცადინეობები მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში. ამის გამო, კლუბებისა და წრეების მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და კვლევით მუშაობაში მათი ჩართვის მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში განხორციელებულია მხოლოდ ორი სასწავლო ექსპედიცია. წლის განმავლობაში არ ჩატარებულა დაგეგმილი პროექტებისა და ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი, ამავე მიზეზით არ გამართულა სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიებები, საანგარიშო კონცერტები.

თებერვლის თვეში ცენტრში გაიმართა პროექტის ,,ვეტერინარული სკოლა ახალგაზრდებისათვის" მონაწილეებზე სერთიფიკატების გადაცემის ცერემონიალი. მარტის თვეში გაიმართა წინა სარვამარტო შეხვედრა ცენტრში მომუშავე ქალბატონებთან. აპრილში დისტანციურ რეჟიმში განხორციელდა პროექტები: ,,მუსიკალური კალეიდოსკოპი", ,,იგავ-არაკების საღამო"; ასევე, დისტანციურად გაიმართა მოსწავლეთა 74-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციაზე წარსადგენი ნაშრომების განხილვა.

ცენტრისა და სტუდია ,,ოქროს ხმების" მიერ ღია სივრცეში ერთობლივად გაიმართა ახალგაზრდა შემოქმედთა სიმღერების საღამო.

3.სპორტი

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული, მუნიციპალიტეტის მკვიდრი მერაბ თუთისანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში; მოყვარულთა ლიგა დიდ ფეხბურთში, სადაც ხონის სამოყვარულო გუნდმა წარმატებით იასპარეზა,როგორც რეგიონალურ, ასევე ზონალურ თამაშებზე; 7X7 ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებითა და ხონის

მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა მასტერ ლიგა ფეხბურთში. ასევე, აღნიშნული ტურნირის რეგიონალური თამაშები გაიმართა ხონის ცენტრალურ სტადიონზე, რომელშიც მონაწილეობდა ხონის მუნიციპალური ფინალისტთა ორი გუნდი (კუხი და მათხოჯი). ასევე ხონის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა დრიფტის სერიების გახსნით ჩემპიონატს.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა - 350 აღსაზრდელით, 10 სახეობის სპორტული ჯგუფით, ეს ჯგუფებია: ფეხბურთის, კალათბურთის, ჭიდაობის, ჭადრაკის, მძლეოსნობის, კრივის, ფრენბურთის, რაგბის, კარატესა და ძალოსნობის.

4.ახალგაზრდული საქმე

საანგარიშო პერიოდში ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ახალგაზრდული ორგანიზაციების და პროექტების ხელშეწყობა.

ახალგაზრდობის დღეებთან დაკავშირებით აგვისტოს თვეში სოფ. გორდში, დადიანების ტყე-პარკში გაიმართა ახალგაზრდული ფესტივალი, რომლის ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიება: სპორტული თამაშები, ხატვა, პოეზიის საღამო, ასევე ელექტრონული მუსიკის საღამო. ახალგაზრდულ ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა. მერია ხელს უწყობდა საქართველოსა და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებული ახალგაზრდების წარგზავნას. მისასალმებელია, რომ ხონის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად ტარდება სოციალურ-საგანმანათლებლო მედია პროექტი ,,ეტალონი“, და სიამაყით უნდა აღვნიშნო, რომ 2020 წლის ,,საქართველოს ეტალონი მოსწავლე“ გახდა ჩვენი ქალაქის მკვიდრი, ტექნიკური შემოქმედებითი გიმნაზიის მოსწავლე ლუკა სულაბერიძე.

5. ტურიზმი

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები შეეხო ტურიზმის სფეროსაც, რის გამოც, საკმაოდ შემცირდა ვიზიტორთა სტუმრობა ტურისტულ ზონებში. გასული წლის მონაცემებით, გორდის ტურისტულ ზონას ესტუმრა 10 609 ვიზიტორი, აქედან 2 282 - უცხო ქვეყნის მოქალაქე, ხოლო კინჩხის კანიონს - 4 914 ვიზიტორი, აქედან 605 უცხო ქვეყნისა მოქალაქე.